სამშაბათი, 13 თებერვალი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 32

გაზეთ «ისარი»-ს ხელის მოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ".

**მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ი ს ა რ ი

გაზეთი ღირს:

| ერთის წლით: | | ნახევარის წლით: | | ერთის თვით: | |
|---|---|---|---|---|---|
| ტფილისში | 6 მ. 50 კ. | ტფილისში | 4 მ. — კ. | ტფილისში | — მ. 75 კ. |
| ტფილისს გარედ | 7 „ — „ | ტფილისს გარედ | 4 „ 50 „ | ტფილისს გარედ | — „ 80 „ |
| საზღვარ-გარედ | 12 „ — „ | საზღვარ-გარედ | 6 „ — „ | საზღვარ-გარედ | 1 „ 50 „ |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

**ხელის მოწერა შეიძლება:**

**ტფილისში:** 1. «ისრის» რედაქციაში (ელისაბედის ქ., № 1, მილოვის სახლი). 2. «ქ. შ. წ. გ.-კ. საზოგ.» წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.). **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან («კოლხიდის» ამხანაგობაში). **ბათუმში**—ხომერიკთან, ჭოროხში. **ფოთში**—პლ. ლეჟავასთან. **თელავში**—ივ. პაატაშვილთან. **ჭიათურაში:** სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის კანკში. **ბაქოში:** გიორგი ჩხეიძესთან (ქინქარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція газ. «ИСАРИ».**

**მართა დიმიტრის ასული, მელანია დიმიტრის ასული და იოსებ და კოლა ისაკის ძენი კასრაძენი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას პირველი ძვირფას მეუღლის, მეორე —საყვარელ შვილის, ხოლო უკანასკნელნი—დაუვიწყარ ძმის

## გიორგის ისაკის ძის კასრაძისას.

განსვენება ტფ. მიხეილის საავადმყოფოდან რკინის გზით გორში და მერე ცხინვალში სამშაბათს, 14 თებერვალს დილის 10 საათზე. დაკრძალვა ცხინვალში ხუთშაბათს, 15 თებერვალს. (1—552—1)

მწუხარებისაგან მოკლულნი **ვასილ და პელაგია ნაცვლიშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ თავიანთ უძვირფასეს და დაუვიწყარ ქალის

## თამრიკოს

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, 14 თებერვალს, 11 საათზე კუკიის მართმადიდებელთა სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. (1—541—1)

## საავადმყოფო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიიღება გარდა მფსიქიური ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. აველიანოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონტი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა.

საავადმყოფოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—27)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—42)

კბილის ექიმი

**ი. ზ. კანდელაკი**

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბულაძისა, № 26. (25—6.—5)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31. სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—2)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლღას ქუჩა. № 25. (0—33)

ქალ. სიღნაღში

**ექიმი ა. ა. ბალაშვილი**

1 თებერვლიდან იწყებს ავადმყოფების მიღებას. ნ. მირიანაშვილის სახლში, ფოსტის ქუჩაზედ. (24—509—12)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**„რენესანსის" თეატრში**

(ნემეცების ბაღში, მიხეილის პროსპ.).

კვირას, 18 თებერვალს. ქართულ დრამატიულ თეატრის არტისტებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება:

## კაი-ბრაკხი

5 მოქმ. დრამა სონტისა თარგ. მ. ჯავარიანისა.

**დასაწყისი საღამოს 7 საათზე.**

**გათავდება 10½ საათზე.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში 5 საათიდან.

(3—უ.—3) რეჟისორი **დათიკო ჩარკვიანი.**

**ლაკტო-ბაცილიანი რძე**

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

## ა. ს. ქლებანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 389. (100—51—71)

**ქ. ბაქო**

## თეატრი

ბაქოელ ქართველთა საზოგადოებისა

დუმის მოედანი, ქალაქის ცენტრი.

მშვენივრად მოწყობილია. ახალი დეკორაციები. ელექტრონის განათება. შემოსავალი შეიძლება 1000 მანეთამდის. პირობების გაგება შეიძლება **კ. მ. მესხთან,** ბაქო, ქართვ. საზოგ. თეატრში.

## ემებს გაკვეთილებს

პეტერბურგის ქალთა პატრიოტულ ინსტიტუტში ჯილდოთი კურს-დასრულებული, ფრანგული და გერმანული ენების მცოდნე ახალგაზრდა ქალი. ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლის პირველ ოთხ კლასში. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ გაზ. „ისრის" რედაქციაში, (Елизаветинская, № 1). 11—3 საათამდის და ბინაზე—Вознесенская ул., Церковный подъѣмъ, домъ № 4, 4—6 საათამდის. (3—უ—2)

**მიწის მეორე ნაწილის დამრიგებელი კომისია** აუწყებს ხელის მომწერლებს, რომ ვისაც 7 და 12 მანეთი შეუტანია, იმათ შემოიტანონ კიდევ 10 მანეთი, ვისაც 7 მანეთი—22 მანეთი ამა 1907 წ თებერვლის 20-მდე. ვინც არ შემოიტანს ვადაზე. ამოიშლება სიიდან და მათი ალაგი გადაეცემა კანდიდატებს. ფულის შეტანა შეიძლება ოლგის ქუჩაზე: აბგარასონ ამბარცუმა პოლოსა და ბალასანასთანა და ქარვასლაში გ. ვეკუათან. (2—540—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ დიდი მთავრინას ოლღა თეოდორეს ასულის სახელობის ტფილისის პირველ და მეორე ქალთა გიმნაზიებში 1907 წ. მეორე ნახევრიდან გაიხსნება ათი სტიპენდია (ხუთ-ხუთი თვითეულ გიმნაზიაში) მისი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზე. სტიპენდიები მიეცემათ ტფილისის ულარიბეს მკვიდრთა შვილებს, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად.

მსურველთ უნდა შეიტანონ ქალაქის გამგეობის პირველ გამწესრიგებელ განყოფილებაში თხოვნა, მეტრიკული მოწმობა, ან ამ მოწმობის წესისამებრ დამოწმებული პირი და სასწავლებლის მოწმობა, არა უგვიანეს 1907 წ. 1 აგვისტოსა.

იმ მსურველთა თხოვნა, რომელნიც ხსენებულ მოწმობებს არ წარმოადგენენ, უყურადღებოდ იქნება დატოვებული. (2—6—1)

## ტფილისი, 13 თებერვალი.

სახალხო უნივერსიტეტი! რა ადვილად ამბობს ამ სიტყვას ენა, მაგრამ რა მძიმე ტვირთს, რა უშველებელს შრომას და ენერგიას მოითხოვს იმის განხორციელება. არც გარეშე რამ დახმარება მთავრობისაგან, არც გულუხვი რამ შეწევნა მეცენატებისა, არც რაიმე თანხა, არც შენობა, არც გამოცდილი სახალხო ლექტორები, ერთი სიტყვით წინ არაფერი არ მოსჩანს, გარდა წყვდიადით და ბნელეთით მოცულის მშრომელის ხალხისა, მაგრამ სახალხო უნივერსიტეტის ინიციატორები არაფერს არ უფრთხიან, არაფრისა არ ეშინიანთ და გაბედულად ჰკიდებენ ხელს საქმეს, სრულიად დარწმუნებულნი, რომ მათი მომავალი შრომა და ღვაწლი უქმად არ ჩაივლის. ერთად ერთი თავდები მომავალ სახალხო უნივერსიტეტის აყვავებისა და განვითარებისა ამ საქმის ინიციატორების ენერგიაა, რომელმაც უკვე დასძლია ძველი რეჟიმისაგან გამოგონილი სხვა და სხვა დაბრკოლება, გამოსტაცა მას ხელიდან უფლება კანონიერის მოქმედებისა ხალხის ფართო წრეებში და ეხლა თვით საქმის ორგანიზაციას ჰკიდებს ხელს.

განა საფიქრებელია, განა წარმოსადგენია, რომ ამ დაწყებულებას წინააღმდეგობას უწევდეს და დაბრკოლებებს უყენებდეს წინ თვით ხალხი, ის ხალხი, რომელსაც ესმის ცოდნის, სწავლის, განათლების მნიშვნელობა, და რომელიც ჰხედავს, რომ ერთად ერთი დანიშნულება ამ ახალის საქმისა იმის წრეებში ცოდნის შუქის შეტანაა? მართლა და ძნელი გასაგებია, უფრო მეტს ვიტყვით, პირდაპირი შეუსაბამობაა, რომ განათლებისთვის და მაშვრალ მშრომელი ხალხი, მიუხედავად სახალხო უნივერსიტეტის მნიშვნელობის სრულის შეგნებისა, მაინც უნდობლად უცქეროდეს ამ საქმის სამსახურისთვის გამზადებულს ინტელიგენციას, მხოლოდ იმიტომ რომ ის ინტელიგენციაა.

ეს შეუსაბამობაა, დაუჯერებელი შეუსაბამობა, მაგრამ მაინც ფაქტია, ჭეშმარიტი ფაქტი... სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების დასაწყებად თავმოყრილ ინტელიგენციას მუშა ხალხის სახელით ეუბნებიან, შესდექით, ჯერ ხელს ნუ გაანძრევთ, აქ თავმოყრილ ხალხში მუშები უმცირესობას შეადგენენ, შემდეგისთვის კი მუშები ბლომად მოვლენ, ისინი მაშინ უმრავლესობას შეადგენენ და საქმის ორგანიზაციასაც მაშინ შეუდექით... ინიციატორებს, ინტელიგენტებს სწყინთ, გული ეთანაღრებათ, თითქმის ცრემლი ერევათ თვალზე და სევდიანის ხმით კითხულობენ, ნუ თუ ჩვენ და მუშა ხალხი ერთმანეთის მოწინააღმდეგენი ვართ, რომ უმრავლესობასა და უმცირესობაზე შევაგდოთ საკითხი, ნუ თუ ჩვენ ყველას, მუშას, ხელოსანს და ინტელიგენტებს, რომელნიც საერთოდ ვგრძნობთ სახალხო უნივერსიტეტისთვის მოღვაწეობის საჭიროებას, არ შეგვიძლიან სრულის ნდობით შევხედოთ ერთმანეთს, ძმურად მივცეთ ერთმანეთს ხელი და ყველამ საერთოდ ვიმუშავოთ? მუშა ხალხის სახელით მოლაპარაკეებს თავის მხრივ სწყინთ და ეთაკილებათ ეს უნდობლობის საყვედური. აქ უნდობლობა არაფერ შუაშია, აცხადებენ ისინი და ცდილობენ სხვა რამ საბუთი წამოაყენონ. ლაპარაკობენ, დავობენ, დაუსრულებლივ კამათობენ, მაგრამ... არაფერი ახალი არ ირკვევა, მუშის სახელით მოლაპარაკეებს ინტელიგენციისთვის ვერაფერი შეუსმენია და ინტელიგენციას პირველებისთვის... სახეზე ბევრ ინტელიგენტს უკვე უიმედობის და უძლურების გამომეტყველება ეტყობა. ერთი ორატორი შიშს აცხადებს, ვაი თუ ჩვენი სახალხო უნივერსიტეტი უხალხოდ დარჩეს, ვაი თუ ლექტორებმა ყურისმგდებელი ვერ იშოვნონ. აღფრთოვანებას ჭკნება, სანთელივით ილევა... ნუ შეფიქრებულხართ, ნუ ყოყმანობთ, გაისმის მეორე ორატორის გამამხნევებელი სიტყვა, ჩვენ ჩვენსას ვეცადოთ, საქმე მოვაწყოთ, გავხსნათ კურსები, გავაჩაღოთ მუშაობა და თუ ჩვენი დაწყებულება ცხოველმყოფელია, სახალხო უნივერსიტეტი თანაგრძნობასაც მოიპოვებს და მკვიდრ ნიადაგსაც გაიჩენს, თუ არა... თუ არა,—ეს ჩვენი ბრალი არ იქნება.

ხანგრძლივის კამათისაგან, რომელსაც ჩვენ გულმოდგინეთ ვისმენდით, ჩვენის შეხედულებით ერთი საინტერესო გარემოება გამოირკვა. გამოირკვა ის, რომ ხალხის და ინტელიგენციის ერთმანეთისაგან დაშორების მეცადინეობას, რაც ძველი რეჟიმის დამახასიათებელი თვისება იყო, უქმად არ ჩაუვლია; ამ მეცადინეობას ისეთი ღრმა ბეჭედი აღუბეჭდავს ჩვენს ცხოვრებაზე, რომ მაშინაც კი, როცა ორთავე მხარე, ერთის მხრივ ინტელიგენცია და მეორის მხრივ მშრომელი ხალხი, ჰგრძნობს დაახლოვების საჭიროებას, საერთო მუშაობის აუცილებლობას, ჰგრძნობს და ჰსურს კიდეც საერთო საქმეს მოეჭიდოს შეერთებულის ძალღონით, მაშინაც კი ვერ მოუხერხებიათ დასძლიონ ძველი რეჟიმისაგან ნაანდერძევი განკერძოვება, ვერ მოუხერხებიათ აღადგინონ პოლიციურის რეჟიმისაგან ჩატეხილი ხიდი ხალხისა და ინტელიგენციის შორის.

მაგრამ მით უფრო აუცილებელია სახალხო უნივერსიტეტი, მით უფრო საჭიროა ხალხის ფართო წრეებში განათლების შეტანა, რაც უფრო ღრმად განვიცდით ძველი რეჟიმის ცოდვებს. სახალხო უნივერსიტეტი სწორედ ის დაწესებულებაა, რომელიც ცოდნას საყოველთაო სიმდიდრეთ აქცევს და სულ-ერთიანად მოსპობს ინტელიგენციის და მშრომელ ხალხის უნდობლობის ნიადაგს. მაშ, ნუ აყვებით გარდამავალს კრძნობებს, ნუ შევასუსტებთ ენერგიას და გვახსოვდეს, რომ უძლიერესი იარაღი ხალხის და ინტელიგენციის ზნეობრივად დაახლოვებისათვის სწორედ ისეთი კულტურული დაწესებულებაა, როგორც სახალხო უნივერსიტეტი.

### არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში
### რუსეთში

(დეპეშათა სააგენტოსაგან)

**სათათბიროს დეპუტატების არჩევა.**

სახ. სათათბიროს დეპუტატებად აირჩიეს: კოსტრომის გუბერნიაში—გალუზოვი, პროგრესისტი, პერულემინი, მაზრის მარშალი, იუნიცკი, მასწავლებელი, ორივე კადეტი; პეტერსონი, ვეტლუგის საერობო გამგეობის თავმჯდომარე, სოც.-დემ.; პოლტავის გუბ.—შელიარევიჩი, პავლოვი, სასამართლოს წევრი ლუკაშევიჩი, მილორადოვიჩი, მასლიანნიკოვი, სოფლის უფროსად ნამყოფი, ბულიუბაში, ჩერანენკო, გლეხი, შვიდივე მემარჯვენე; საიკო კადეტი, კაზაკი. გაავშავეს კოროლენკო. სხვა ცნობებით შელიარევიჩი, ლუკაშევიჩი, მილორადოვიჩი, ბულიუბაში—ოქტომბრისტებია, მასლიანნიკოვი წესრიგის პარტიისა, ჩერანენკო უპარტიო მემარჯვენე, პავლოვი უკიდურესი მემარჯვენე, საიკო უკიდურესი მემარცხენე.

პერმის გუბერნიაში: კოლოკოლნიკოვი, მღვდელი, საგოვი, მოხელე, ტიმაჩევი, გლეხი, ზირიაკოვი, ოთხივე მემარცხენე; კაბაკოვი, მუშა, სოც.-რევ. ჩაშინი და შპაგინი, ორივე მუშა სოც. დემ., მაქსიმოვი გლეხი, ბასკინი საერობო სტატისტიკი, ორივე სახალხო სოციალისტი, ერშოვი, მოვაჭრე, კადეტი. ტამბოვის გუბერნიაში: ოგნევი, რომანოვი, რიაზანოვი, ვოროჟეიკინი, ლიპატოვი, ხუთივე გლეხი სოც. დემ., და ბატაშევი, მოქალაქე, სოც. რევ., პოლოვინკინი, სოფ. მამასახლისი, რუსის ხალხის კავშირის წევრი, დავიდოვი, უპარტიო გლეხი, პრასოლი, მოვაჭრე, უპარტიო, მემარჯვენე, ოსჩკინი, მოვაჭრე, დოლგოვი, ნოტარიუსი, კადეტი.

რადგან ქალ. ტაშკენტში ადგილობრივ მკვიდრთაგან არჩეულმა უარი განაცხადა, აირჩიეს აბდულ-ვახად-კარიბდულლოუფ კარიევი, უპარტიო, შარიატის მოტრფიალე, ზომიერი.

11 თებერვლამდი აირჩიეს 448 დეპუტატი. იმათ რიცხვში მონარქისტი 85 (მათ შორის მონარქისტი 30, უპარტიო მემარჯვენე 21); ზომიერი 42 (მათ რიცხვში უფლება წესიერების პარტიისა 1, ოქტომბრისტი და მათი თანამოაზრე 21, ზომიერი 10, ცენტრი 5. მონარქისტ-დემოკრატი 1, უპარტიო ზომიერი 4), სულ მონარქისტი და ზომიერი 127; მემარცხენე 276 (აქედან მშვიდობიან განახლების პარტიისა და მისი თანამოაზრე 2, დემოკრატიულ რეფორმისა 7, პროგრესისტი 25, კადეტი და მათ პარტიის თანამოაზრე 72, კადეტებზე უფრო მემარცხენე 8, შრომის ჯგუფისა და მისი თანამოაზრე 29, ქრისტიანე სოციალისტი 1, სახალხო სოციალისტი 3, სოციალ-დემოკრატი 48, სოც.-რევოლიუციონერი 11, მემარცხენე 5, უპარტიო მემარცხენე 22, უპარტიო 11.

## ახალი ამბავი

**სამხედრო წესების გაუქმება.** ქალაქში ხმა დადის, რომ 20 თებერვლამდის, როდესაც მოწვეული იქნება სახელმწიფო სათათბირო, ტფილისის გუბერნიაში სამხედრო წესებს მოხსნიან.

**ახალი ნამესტნიკები.** გაზ. „რუს"-ის სიტყვით, „მანჯურიის ჯარის ყოფილ მთავარ-სარდლებს — კუროპატკინსა და ლინევიჩს—ამ მოკლე ხანში ახალ თანამდებობას აძლევენ: კუროპატკინს—კავკასიის ნამესტნიკობას, ხოლო ლინევიჩს—შორეულ-აღმოსავლეთისას.

**სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება.** კვირას, დილის 11 საათზე, სასამართლო პალატის თავმჯდომარის ამხანაგის ბ-ნ იუზვინსკის თავმჯდომარეობით, მოხდა პირველი კრება ახლად დაარსებულ სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებისა. კრებამ, რომელსაც ხალხი ბლომად დაესწრო, გაიცნო დამტკიცებული წესდება. ბ-ნმა ვ. ი. რცხილაძემ კრებას განუმარტა მიზანი საზოგადოებისა და აღნიშნა მოქმედების გეგმა. საზოგადოებას აზრად აქვს გამართოს სამეცნიერო და განმანათლებელი დაწესებულებანი ტფილისში და ხელი შეუწყოს ამგვარსავე დაწესებულებათა დაარსებას ამიერ-კავკასიაში. საზოგადოება მოაწყობს სახალხო უნივერსიტეტებს, ლექციებს, პროფესიონალურ კურსებს, ექსკურსიებს, დაარსებს მუზეუმს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, ლაბორატორიებს, ობსერვატორიებს და სხვას. გამართავს აგრეთვე სალიტერატურო, სამუსიკო და დრამატიულ საღამოებს, გამოსცემს გაზეთს და სხვას. საქმის გასაადვილებლად საზოგადოება მოაწყობს ქართულ, რუსულ, სომხურ, თათრულ და სხვა სექციებს. საზოგადოება უმთავრესად ყურადღებას მიაქცევს იმ მშრომელ ელემენტების განვითარება-განათლებას, რომელთაც შეძლება არ აქვთ სასწავლებლებში სისტემატიური განათლება მიიღონ. კრებაზე ზოგიერთმა საკითხმა კამათი გამოიწვია. დასასრულ არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრებად: ი. ი. პლამენევსკი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, ნ. დერჟავინი, ა. ქალანთარი, ვ. ი. რცხილაძე, გ. ნ. გეხტმანი, ახუნდოვი, მ. ჩოდრიშვილი, ი. ოქრომჭედლიშვილი, ლ. ხიდეკელი, პ. ი. ზახინიაევი, მიკირტუმოვი, ა. მ. არგუთინსკი და დ. დიასამიძე.

**დეპუტატების წასვლა.** 11 თებერვალს საღამოთი ბაქო ბალაჯარის

გზით პეტერბურგს წავიდნენ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები: არჩილ ჯაფარიძე, სევ. ჯუღელი, კაციაშვილი, არშაკ ზურაბიანცი, ირაკლი წერეთელი და მახარაძე. უნდოდათ დეპუტატების გაცილება, მაგრამ მთელი სადგური ჯარით იყო შეკრული, ასე რომ ახლო ნათესავებსაც გაუჭირდათ სადგურში შესვლა გამოსათხოვებლად.

✦ **დაშნაკელებისა და ანარქისტების შეტაკება.** 6 თებერვალს ბაქოში, „კასპის" სიტყვით, შეტაკება მომხდარა დაშნაკელებისა და ანარქისტებს შორის. დაშნაკელები თავს დასხმიან ანარქისტებს პარაპეტის ახლოს; ატეხილა სროლა და თითქმის ერთი საათი გაგრძელებულა. რიცხვით მცირე ანარქისტები გაქცეულან და ქუჩებში გაფანტულან. დაშნაკელები გამოსდევნებიან. გზაზე ანარქისტებს ერთი პოლიციელი გადაეღობა, მაგრამ იგი მოჰკლეს. გაქცეულნი მიიმალნენ და სროლა შესწყდა. ნაშუადღევის 4 საათზე ოთხი კაცი ისევ გაჩნდა სპარსეთის ქუჩაზე. პოლიციელმა სროლა აუტეხა, მაგრამ უშედეგოდ პოლიციელს რევოლვერი ესროლეს და სასიკვდილოდ დასჭრეს. მოირბინა უბნის ზედამხედველმა ისროლა რევოლვერი, მოჰკლა ერთი და გამოედევნა დანარჩენთ. გაქცეულთაგან ორი კაცი დაატუსაღეს. მოკლული და დაჭერილნი სომხები არიან. სროლის დროს დაიჭრა შემთხვევით ქუჩაში გამოვლელი რამდენიმე კაცი. 5 თებერვალს არტისტულ ქუჩაზე ორ ჯგუფის შორის ხელ-ახლა ასტყდა სროლა. მოკლული იქნა ორი კაცი ტომით ქართველნი ანარქისტ-კომუნისტები. მათი გვარები ჯერ-ჯერობით ვერ შეიტყეს.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო საოლქო სასამართლოში მისცეს გორის მაზრის სოფელ ოქონის მცხოვრები სანდალ მამაცაშვილი. მამაცაშვილს აბრალებენ 8 აგვისტოს თავად ზაქარია ნიკ. ფალავანდიშვილის სახლის გადაწვას, სადაც ცოცხლად დაიწვა კნ. ელისაბედ ფალავანდიშვილისა. შირაქის ტყეში ტყის გაჩეხისთვის დააჯარიმეს: თითო მანეთით—ილია და მიხა სულაშვილები, ტოკლიკაშვილი, გველესიანი, ნიკო და მაქრო მოსელიშვილი, ტოკლიკაშვილი, ალუგიშვილი, გეორგაძე, აბულაშვილი, ადაშვიალლი, ჩიტინიაშვილი, ბიკაშვილი, ალუგიშვილი და ნატროშვილი; ექვს-ექვსი აბაზით—ბიძინა და აბრია ბაკოშვილი; მანეთ-ნახევრით—გიორგი და გიო რატიშვილები, ასანაშვილი, გარსევიშვილი, სეხნიაშვილი, ალავერდიშვილი, ჯაჯარაშვილი, ზედელაშვილი, ასკიაშვილი და პაპიაშვილი ცხრა-ცხრა აბაზით—პაპუაშვილი ქალი და შვილი მაშუკიშვილი; ორ-ორი მან.—პაპიაშვილი, არისანოვი და გოლოვინი; ორი და ათი შაურით—ჩიტაშვილი; სამ-სამი მანეთით—შინკარევი, ვასილ და კირილ სოროკინები, ხატიაშვილი, კუპრაშვილი, ადაკერდრაშვილი, ბიკაშვილი და გივიშვილი; ხუთ-ხუთი მანეთით—ხატიაშვილი, ლატუნაშვილი და ყანდაური; რვა-რვა მანეთით—ქიტიაშვილი, კოჭელაშვილი, დათიაშვილი და ბენაშვილი; ერთი თუმნით—დოლაშვილი; თორმეტ-თორმეტი მანეთ-თ- -ქიხვიშვილი და ჩიტაშვილი; 17 მანეთით—ლომაშვილი და 25 მანეთით—უშურაული.

✦ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** 17 თებერვალს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ რუსული დასი საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოადგენს თავ. სუმბათაშვილის პიესას „ღალატს". ჰფიქრობენ, წარმოდგენა სამაგალითოდ მოაწყონ. რეჟისორად მიუწვევიათ ქართველი არტისტი კ. დ. ყიფიანი, სახელოვნო ნაწილის მოსაწყობად მხატვარი შმერლინგი.

✦ **დაპატიმრება.** 10 თებერვალს გოლოვინის პროსპექტზე ორი შეიარაღებული ყმაწვილი შევიდა კუზანოვის ღვინის სარდაფში და გამგეს უსენაშვილს, როგორც თვითონ განაცხადა, მოსთხოვა 200 მან. უცნობებს წინააღმდეგობა გაუწიეს, ერთს ესროლეს და დასჭრეს, მეორე მიიმალა. დაჭრილი დააპატიმრეს; მან განაცხადა, ოზურგეთის მაზრის სოფელ აკეთიდან ვარ, იაკობ კანტარიაო. ამხანაგზე სთქვა, იმერელია სახელად არსენი, გვარი არ ვიციო. კანტარია საკომენდანტო სამართველოში გაგზავნეს.

✦ რედაქციამ მიიღო ბ-ნ ბეგლარიძის მიერ შეგროვილი ფული დარიბ ქალის დარია კიკნაძის სასარგებლოდ. შემოწირულება შემდეგი პირებისაგან: თითო მანეთი— დ. გაბრუაშვილი, 1-ლი კმვკასიის საპარიკმახერო, ტარასოვი, გიორგი დავიდოვი, ივანე მენდელოვი; ათ-ათი შაური: ბაგრატ თემურაზოვი, მელქო მარქაროვი, გიგო საგანელოვი, ზარნაძე, დავიდოვი, ტორთშელიძე, რატიანი, Кербосъ გაბუნია-ცაგარელი, Аникинъ, მ. მდივანი, Хадарова, ბ. ბეგლარიძე. ორ-ორი აბაზი: 7, Нейзвѣстная; ექვს-ექვსი შაური: №, ა. ს. ი. ხუთ ხუთი შაური: ულაბეგიშვილი, Я. Л. თითო აბაზი: ქალი, ზაქარია მაჩარლოვი, ევგენი უთქმელიძე, დიმიტრი ლეკიშვილი, არუთინ აბოევი, სანდრო მიკირტუმოვი, კოტე ახმატოვი, სტეფანე ვიქტორი, მაქრო, Урная, Поповъ, ორ-ორი შაური: Нейзвѣстная, Н. Н. სულ თექვსმეტი მანეთი და ათი შაური. ფული რედაქციამ დანიშნულებისამებრ გადასცა.

✦ გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ მე-3 წიგნი საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადული"-სა, რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებულია: ბაჩანას ლექსი „პატარა მთიულის ნატვრა", თ. რაზიკაშვილის მოთხრობა „გულად მამლაყინწას ამბავი", ევდოშვილისა „კაკანათი", გეოგრაფია, ნარევი და სხვა.

✦ 10 თებერვალს. საღამოს 9 საათზე, პოლიციის მე-5 ნაწილში აბას აბათის მოედანზე ვიღაც ორმა უცნობმა კაცმა ბებუთით მოჰკლა ერთი ქალი, რომლის ვინაობაც ვერ გამოარკვიეს. მკვლელებს პოლიციელები გამოუდგნენ, მაგრამ მათ გადამალვა მოასწრეს.

✦ 10 თებერვალს ავლაბრის ვაჭრებს ანტონ ლარიბოვისა, ქრისტეფორე მარუთიანცისა, ქრისტეფორე ჩემეკიანცისა და სტეფანე ხარაზოვის დუქნებში აღმოაჩინეს პოლიციელებმა გასასყიდად გამოფენილი დიდ-ძალი ყალბი 7 კაპეიკიანი მარკები. როგორც გამოძიებით გამოირკვა, ყალბი მარკები გაუსაღებია ტფილისის მცხოვრებ გერასიმე დემუროვს, რომელიც სადღაც გადაიმალა.

✦ 12 თებერვალს გაქანებულმა ეტლმა ოლგას ქუჩაზე ერთს პატარა ქალს გადაუარა და დააშავა. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს. მეეტლე დაიჭირეს და პოლიციის სამმართველოში გაგზავნეს.

✦ 10 თებერვალს ღამით შელკოვნიკოვის ქუჩაზე ეჯუბოვის სახლში მცხოვრებ გრიგოლ სალიკს ვიღაცეებმა სახლი გაუტეხეს და 600 მ. ღირებული სანთელი წაიღეს.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 10 თებერვალს ჩრდილო გუბერნიებში ადმინისტრატიულის წესით გაიგზავნა 30 პოლიტიკური ტუსაღი.

✦ სამხედრო წესების შემოღების შემდეგ ქუთაისის გუბერნიიდან ადმინისტრატიულის წესით გაიგზავნა ჩრდილოეთ გუბერნიებში 197 კაცი, რომელთაც მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა ჰბრალდებოდათ. ამ გვარივე ბედი მოელის 174 კაცს, რომელნიც ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიის საპატიმროებში არიან.

✦ მ. ლალიძემ დამატებითი განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ თუ ქალაქში 50 ელექტრონის ფანრის მაგივრად დასდგამს 100 ფანარს, მაშინ თითო ფანრის შეძენა და დადგმა ქალაქს დაუჯდება 120 მანეთის მაგივრად 105 მანეთად და განათებაში ქალაქი გადაიხდის ყოველ თვიურად 15 მანეთს იმ პირობით, რომ ყოველ ღამე 10 საათის განმავლობაში ენთოს ფანარი. რაც ხანი არ ენთება, ქალაქს არაფერი გადახდება.

✦ ტფილისის საგლეხო საკრებულოს წევრი ციგანკოვი 9 თებერვალს შეუდგა გუბერნიის სამხედრო საკრებულოს საქმეთა რევიზიას, რომელიც გამოწვეულია იმ ბოროტ-მოქმედებათა აღმოჩენით ამ დაწესებულებაში, რომელიც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ციგანკოვი ნამესტნიკის განკარგულებით არის გამოგზავნილი ტფილისიდან. ამავე საქმის გამო ხმა დადის, რომ სამაზრო სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებელნი სამსახურიდან იქნებიან გადაყენებულნიო.

✦ ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი სამედიატორო სასამართლოს განაჩენი შავი-ქვის დამტვირთველ მუშათა და უსაქმოდ დარჩენილ მუშათა შორის ატეხილ განხეთქილების შესახებ ფოთში. ფოთიდან მოსულებმა გვაცნობეს, რომ შავი ქვის დამტვირთველ მუშათა არტელმა სავალდებულოდ არ იცნო სასამართლოს განაჩენი და არც აპირებს ამ განაჩენის სისრულეში მოყვანასაო.

✦ 8 თებერვალს ქალაქის გამგეობაში პირველად შეიკრიბა ის კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს სავაჭრო და სახელოსნო დაწესებულებათა შესახებ სამინისტროს მიერ შედგენილი კანონპროექტი. 45 წევრიდან გამოცხადდა 40 კაცი. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ბ-ნი დ. აბდუშელიშვილი, ხოლო მდივნად ბ. ჩიმაკაძე. პირველ სხდომაზე კომისიამ შეისწავლა საქმის ვითარება იმ საბუთების მიხედვით, რომელიც კომისიას ხელთა ჰქონდა.

✦ სოფ. ცეცხის მცხოვრებს ვლადიმერ წერეთელს განცხადება შეუტანია გუბერნატორთან და უცნობებია, რომ 15 კომლი ცუცქირიძე და 2 კომლი ნოზაძე მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევიან და სოფლის დასამშვიდებლად დასახელებული კაცები გადაასახლეთო. გუბერნატორს საქმის გამოძიება მიუნდვია შორაპნის უფროსისათვის.

✦ ქალაქის აღწერის განზრახვამ, თანახმად გუბერნატორის წინადადებისა, გამოიწვია ის, რომ 60 კაცმა შეიტანა თხოვნა ქალაქის გამგეობაში, აღმწერის ადგილი მოგვეცითო. მთხოვნელთა შორის ქალაქის გამგეობამ აარჩია 12 კაცი, დანარჩენნი, რასაკვირველია, უკმაყოფილონი დარჩნენ. ბევრის თათბირის შემდეგ შეადგინეს უსაქმოდ დარჩენილ ინტელიგენტთა კომიტეტი და იმის პირით მოსთხოვეს ქალაქის გამგეობას, წინა დღით მიღებული 12 კაცი დაითხოვეთ და ახლები მიიღეთო. ქალაქის გამგეობამ არ იყაბულა ეს.

✦ ქუთაისის დეპუტატთა საკრებულომ ნამესტნიკის კანცელარიისაგან მიიღო ცნობა, რომ წარსული ოთხი წლის ხვედრ უმაღლესად მოცემულ ფულისა, 80,000 მანეთი, უმაღლესმა მთავრობამ გადასდო დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობისათვის და ცოტა ხანში მიიღებთო. ეს ფული თავად აზნაურობას გადადებული აქვს ქართულ გიმნაზიის შენობის ასაგებად.

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. თელავი.** 1 თებერვალს თელავის მცხოვრებნი დიდი ხნის ვერ დაივიწყებენ. ამ დღეს უკანასკნელად ვადა ეწურებოდა სავალდებულო დადგენილების შესრულებისა, რომლის ძალითაც ყველა სახლის პატრონი მოვალეა ფანარი დაჰკიდოს თავის სახლზე ქუჩის გასანათებლად, როგორც ტფილისში, ფანარი ერთი ფორმისაა და ზედ აღნიშნულია სახელი და გვარი სახლის პატრონისა. სახლის პატრონნი მოვალენი იყვნენ 1 თებერვლიდან აენთოთ ფანრები. ვინც არ შეასრულებდა, 300 მანეთამდე ჯარიმას გადაიხდის და სამის თვით დაპატიმრებულ იქმნებაო. ერთი სიტყვით, რაც ტფილისში და რაც თელავი. პროვინციებს ხომ სჯერა გაუსწრო წინ. ეხლა თელავის ქუჩებს განათებაში ვედარავინ დაემდურება. მხოლოდ, სასაცილოა, ზოგი ფანრისთვის მოუკიდებია, მაგრამ ისე ჩაუწყვნია, რომ ჭრაქივით ძლივს ბჟუტავს და აბა სინათლე საიდან ექნება. ამ ფანრების იმედით ქალაქი ფანრებსაც მარტო აბჟუტებენ. ბევრს ვერ გაეგო ეს დადგენილება, 1 თებერვალს დაფაცურდნენ ჯარიმის შიშით და ფანრებს იძენდნენ. თითო ფანარს 1 მ. 20 კაპეიკად ჰყიდიან.

მცხოვრებთა უმრავლესობას სად შეუძლიან, შინაც ვერ დაუნთიათ ლამფა და აბა გარედ საიდან გაანათებენ. მაგ. მაჩანწარის, ძველ გალავნის და ზემო უბნების მცხოვრებნი ვერ ასრულებენ ამ დადგენილებას და დარდში არიან, არ დაგვაჯარიმონო. ზოგი მათგანი სათხოვნელად მიდის, ზოგმა კი არ იცის, განაპირა უბნებსაც შეეხებათ ეს დადგენილება და შეუძლიანთ თუ არა რამდენიმე კომლს ერთის ფარნის ანთება. თელავის თვითმმართველობა მოვალეა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და გამოარკვიოს ეს საკითხები. როგორც ისმის ჯერ-ჯერობით კი არავინ დაუჯარიმებიათ.

ზოგი თუ დარდშია, ზოგი მეტად მხიარულებს სამხედრო წესების დროსაც, ნაცვლად „ჩინოვნიკობა". 28 იანვარს საუფლისწულო მამულის ერთ მოხელეს დაუპატიჟებინა მთელი თელავის მარხილები, ერთში თვით ჩამჯდარიყო და სხვები ცარიელნი უკან მისდევდნენ. ასე დიდის ამბით დასეირნობდა თელავის ქუჩებში. უცბად გაჩნდნენ ყაზახები და ხელად ქუჩები შეჰკრეს. ხალხს თავზარი დაეცა, არ იცოდა—რაში იყო საქმე. ყაზახებმა შეიკავეს მარხილები და მოქეიფე მოხელე პოლიციაში წაიბრძანეს.

**დ. ყვირილა.** ადგილობრივ ციხეში ოცდა ათამდის ტუსაღია პოლიტიკურ საქმეების გამო დაპატიმრებული. ყველა ესენი უდიდეს გაჭირვებას ითმენენ: „კლიუჩნიკები" თავის დროზე არ მოდიან მათთან, საჭმელს ძლიერ უგვიანებენ და ცემ ზურგს

## ფელეტონი

### არ ახალია,—ძველია
### ეკონომიური მატერიალიზმი.
### III *)

მეორე წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ის საერთო ფაქტი, რომ ადამიანის საზოგადოებისა და გარეშე წრის შორის განწყობილება გამოსავალი წერტილი ჩვენ მიერ ყოველ სოციოლოგიურ კვლევისა.

აღვნიშნეთ აგრეთვე მათი ურთი-ერთზედ გავლენა, რომელსაც ორი მხარე აქვს. A-ს მოქმედება B-ზედ,—ე. ი. ადამიანის მოქმედება წრეზედ, და B-ს მოქმედება A-ზედ,—წრის მოქმედება ადამიანზედ. ამ ორი ფაქტორის ურთ-ერთ მოქმედობაში უნდა ვეძებოთ ძირი იმ მოვლენათა წარმოშობისა, რომელნიც დაახასიათებენ შემდეგ განვითარებულ ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებას და რომელთაც ისეთი დიდი გავლენა იქონიეს ადამიანის ცხოვრებაზედ, როგორც მიზეზებმა მისი განვითარებისამ, ე. ი. როგორც „ძალებმა".

ამ უკანასკნელთა შორის, როგორც ვთქვით, ბევრია ისეთი, რომელიც თვით „საწარმოო ძალებზედ" უფრო ადრინდელი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში.

ავიღოთ, მაგალითად, ყველა ის ჩვეულება, რომელიც ახასიათებს არა მარტო ადამიანის განვითარებულ საზოგადოებას, არამედ ყველა სოციალურ ცხოველს, და რომელიც ადამიანს მემკვიდრეობით გარდმოეცა, როგორც სოციალურ არსისაგან წარმოშობილ სახეს.

ვინ არ იცის, მაგალითად, თუ რა როლი უთამაშნია ადამიანის საზოგადოებაში ეგრედ წოდებულ „წამბაძურობას" (imitation). შესანიშნავმა სოციოლოგმა ტარდმა მთელი სოციოლოგიური თეორია ააშენა ამ ფაქტზედ. მისი აზრით, ეს უდიდესი გამოხატულებაა ადამიანის გონებრივ ძალთა (გონებრივ, სულიერ, ნერვიულ ენერგიისა,—ვიტყვით ჩვენ). როდესაც ერთი ინდივიდი თავის განსაკუთრებულ გონებრივ ძალით **„იგონებს"** რომელსამე ახალს ცხოვრების სახსარს, ან გააუმჯობესებს ძველს, სხვა ინდივიდები კი ხედებიან იმის გამოგონებას, იღებენ პირველისაგან ამ გამოგონებას და ავრცელებენ მთელ საზოგადოებაში, ხდიან მას მთელის საზოგადოების კოლლექტიურ კუთვნილებად. [1]) ამ წამბაძურობის სრბოლა, ტარდის აზრით, ცენტრიდგან (გამომგონებელ პიროვნებათაგან) რადიუსებით ვრცელდება მთელ ჯგუფზედ, მთელ ხალხზედ, შემდეგ სხვა ხალხებზედაც და ეს მუდმივი მოქმედება ადამიანის გონებრივ ძალისა (გამოგონება) და მისი გავლენა სხვებზედ წამბაძურობის კანონით უდიდესი ფაქტორია ადამიანთა საზოგადოებრივობის განვითარებისა. ჩვენის სიტყვით ეს ნიშნავს: მუდმივი მუშაობა სწარმოებს ადამიანის ნერვიულ ენერგიის საზოგადობაში და მისი მოქმედება სხვა ადამიანთა ნერვიულ ენერგიაზედ, რომელიც უკვე ნახულის წესით მუშაობს და განსაზოგადოებრივების შემდეგ ხდება უკვე საზოგადო ნერვიულ ენერგიის საზოგადო მუშაობად. ამითი აიხსნება, სხვათა შორის, თვით საწარმოო იარაღთა გავრცელება ადამიანის წინაპართა მთელი სახის შორის, აგრეთვე მათი გაუმჯობესება ადამიანის ყველა ტომთა შორის, თუმცა ათას ცენტრებშია შესაძლებელი მათი პირველი აღმოცენება; და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანის ერთმა წინაპარმა მოიგონა პირველი საწარმოო იარაღი და შემდეგ მისი ხმარება გავრცელდა მთელ კაცობრიობაში.

და ეს თვისება წამბაძურობისა თვისებაა აგრეთვე განსაკუთრებით სოციალურ ფრინველთა და სოციალურ მაღალ საფეხურზედ მდგომ ცხოველთა, რომელნიც დიდის ხნის განმავლობაში ყოფილან ურთიერთ გავლენის ქვეშ და გონებრივი ენერგიაც იმდენი შესწევსთ, რომ **გაიგონ** მოქმედებანი თავის მსგავსთა და სხვათა. ამისი მაგალითი მრავალია. ვინ არ იცის თუთიყუშისა და მაიმუნის წამბაძურობის ამბები. მასალისათვის იხილეთ წიგნები. დარვინი[2]), კროპოტკინი[3]), რომანესი[4]) და სხვანი მრავალნი.

ეს თვისება გადაღებისა და წამბაძურობისა კი განვითარებულ საზოგადოებაშიაც რჩება, საწარმოო ძალთა დამოუკიდებლად, და ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში შეიძლება მისი რეგრესსის ან პროგრესსის ერთი მიზეზთაგანი იყოს, იმის და მიხედვით, თუ რამდენად აქვს განვითარებული ამა თუ იმ ეთნიურ ჯგუფს ეს „ნიჭი შეთვისებისა", აგრეთვე იმის და მიხედვით, თუ როგორია ხასიათი თვით შესათვისებელ ჩვეულებათა, მოვლენათა და საგანთა, და სხვ.

ავიღოთ მეორე სოციალური „ჩვეულება", თუ შეგვიძლია ასე ვთქვათ,—ენა, რომელიც საუკეთესო იარაღია სოციალურ ურთი-ერთობის გასამტკიცებლად. მარტო კაცის მოგონილი იარაღი არ არის ეს ენა. მაშინ, როდესაც საწარმოო იარაღი მხოლოდ ადამიანს აქვს, საწარმოო იარაღი, რომელსაც ადამიანი მუდმივ აუმჯობესებს,—სხვა ცხოველთა შორის კი მაიმუნსა და რამოდენსამე განვითარებულ ცხოველს, ისიც ისეთ გონებრივ პირობებში, რომ არც კი შეგვიძლია ვუწოდოთ მას „საწარმოო იარაღი",—თითქმის ყველა სოციალურ ფრინველსა და ცხოველს აქვს ენა, რომელიც სხვა და სხვა ნაირის ამოძახილით გამოიხატება. დარვინს მოჰყავს ჰუზოს აზრი, რომელსაც შინაურ ცხოველთა შორის 12 სხვა და სხვანაირი ამოძახილი შეუმჩნევია.[5]) სიტყვიერი ენა, ამბობს დარვინი, მაინც უნდა ჩაითვალოს ადამიანის სპეციალურ თვისებად. მაგრამ, უმატებს იგივე ავტორი, კაცი, როგორც სხვა ცხოველები, აგრეთვე უსიტყვო ენასაც ხმარობს, რომ თავისი აზრი გააგებინოს სხვას. გარდა ამისა, ამბობს კიდევ დარვინი, ცნობილია, რომ ძაღლს ძლიერ ბევრი სიტყვა ესმის ადამიანისა და ხან და ხან მსჯელობასაც კი გაიგებს ხოლმეო. ბევრია აგრეთვე ასეთი მაგალითი ფრინველებისა და მაიმუნებისა,—ყველა ცხოველებისა, ვისაც აქვს სოციალური წესი ცხოვრებისა.

დარვინისა და სხვა მეცნიერთა შენიშვნებზედ ენის შესახებ პრ. მახის შენიშვნები კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია. „ეჭვს გარეშეა, რომ ცხოველებსაცა აქვთ ენა; ყოველი ცხოველი, განსაკუთრებით სოციალური ცხოველი, გამოსცემს ხოლმე ხმას, რომელიც ნიშნავს ან გაფრთხილებას, ან მოწვევას, ან თავზედ დაცემას, და ეს სხვა და სხვა ხმა ერთმანეთისაგან განირჩევა. უმეტეს შემთხვევაში ეს ხმები განისაზღვრებიან თვით ცხოველის ორგანიზაციით. ამიტომ იმისი ახსნა, რომ ადამიანსაც შეუძლია გამოსცეს ამგვარი რეფლექტორული ხმები, საჭირო არ არის: ეს ხმები მის წინაპრებს აქვთ, ცხოველებს."

შემდეგ მახი ამტკიცებს, რომ ადამიანის ენასავით ცხოვლების ენაც ვითარდება, აგრეთვე ადამიანის ორგანიზაციით განისაზღვრება მისი ნიჭი ხმათა გამოცემისა (ენის ელემენტები) და განაგრძობს: „საზოგადოდ ჰგონიათ, რომ ცხოველთა ენა უსიტყვოაო. მაგრამ რაზედ ამყარებენ ამას, არ ვიცი." ბევრი ხმა ცხოველთა შეიძლება ჩვენი ასოებით გამოვხატოთ, ბევრიც შეგვიძლია გამოვხატოთ ფონოგრაფიულადაო. „თუ კი ახლო დავუკვირდით, ცხოველების ენის შესახებ ჩვენ თითქმის იმავე მდგომარეობაში ვართ, როგორც საზოგადოდ ყოველივე უცხო ენის შესახებ, და „უსიტყვო ენა" იმასვე ნიშნავს, რასაც „არა-გერმანული", „არა-ინგლისური", „არა-ფრანგული" და სხვ. საზოგადოდ, ამბობს მახი, წინად არ სწამდათ ცხოველის გონებრივი ნიჭი, ეხლა კი თუმცა იგი გადაამეტეს, მაგრამ მაინც ცხადია, რომ ჩვენსა და ცხოველთა გონებრივ ნიჭს შორის არა არსებითი განსხვავებაა, არამედ მხოლოდ განსხვავება ხარისხისაო. შემდეგ მახი ახასიათებს კაცთა საზოგადოებაში ენის განვითარებას და ამბობს, რომ ხმის სიმბოლო მაშინ იხმარება და ფასდება, როდესაც

*) იხ. „ისარი" № 23.

[1]) იხილე მისი წიგნი: Lec lois de limitation.

[2]) Darwin: Fhe Descent of Man.

[3]) Kropotkine: Mutual Aid.

[4]) Romanes: The Intelligenec of Animals.

[5]) Darwin: The Descent of Man, Mental powers, p. 129.

აშუ,ვენ. ავადმყოფი ტუსაღები ხომ უკიდურეს მდგომარეობაში არიან. ექიმს თხოულობენ და იმათ ხვეწნას არავინ ყურადღებას არ აქცევს, თავის დროზე ექიმს არ უგზავნიან. სატუსაღოს გამგე თვეში ერთხელაც არ შემოივლის ხოლმე ტუსაღების მდგომარეობის გასაგებად. როცა ტუსაღები დაჟინებით თხოულობენ გამგეს, მკაცრად ეკიდებიან. ღღესასწაულებში კიდევ უფრო მწვავდება ტუსაღების მდგომარეობა. მაგალითად, შობას „კლიუჩნიკმა" მთელი დღით დასტოვა ტუსაღები, რომელნიც შიმშილმა და წყურვილმა გასაწარა რასაკვირველია. ტუსაღების წერილებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ციხის გამგენი; არ გზავნიან: მთელი ათი დღე ჯიბეში აქვთ ხოლმე შენახული. სასეირნოთ გამოჰყავთ ტუსაღები სულ ცოტა ხნით, ასე რომ რიგიანად სულის მოთქმას ვერ ასწრობს კაცი. მშობლები და მახლობლები მოდიან ტუსაღების სანახავად, მაგრამ თუ „კლიუჩნიკმა" მიიღო, იმათ ნახვას ვერ ეღირსებიან. „შინელები" მისცეს პირველ ხანებში ტუსაღებს, შემდეგ კი წაართვეს და ხმელ ფიცარზე უნდა ეძინათ. ბუხარს თავის დროზე არ ანთებენ და სიცივით ჰკლავენ ტუსაღებს. **ნეზცორი.**

## მუშების ცხოვრება

**ტფილისის ლიმონათის ქარხანათა კონდუქტორები.** ლიმონათის ქარხნის კონდუქტორებს ქარხნის პატრონნი აძლევენ თვეში 30—50 მანეთამდე და კიდევ პროცენტებს ნავაჭრიდან მანეთზე 15 კ., ისე რომ კონდუქტორი დღეში ერთი-მეორეზე ზამთარ-ზაფხულ იღებს 5—8 მანეთამდე. მათი შრომა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ მობრძანდებიან დილით, დაბრძანდებიან ფურგონზე და უბრძანებენ კუჩერს, ამა-და-ამ მუშტრებთან წაიყვანე ფურგონიო. იქაც კონდუქტორი უბრძანებს კუჩერს: „აბა, ჩამოიღე ლიმონათი, მიართვი მუშტარს, მიიღე ცარიელი ბოთლები, დაუდე ფურგონს და სხ.; კუჩერი უსიტყვოდ ასრულებს კონდუქტორის ბრძანებას. თითონ კი ხელს არ ანძრევს, რადგან არ შეეფერება,—კონდუქტორია. კონდუქტორი ფურგონზე იმიტომა ზის, რომ მუშტრისაგან ფული აიღოს და ჩაიწყოს „საკში". აქედან ცხადია, რომ კონდუქტორები კუჩრებისთვის მეორე „ხაზეინ"-მბრძანებელნი არიან.

კუჩრები დაქირავებულნი არიან მექარხნეების მიერ თვეში 30 მ. ამას გარდა მათ გაფიცვების დროს მოიპოვეს დღიურად 60 კაპ. მომატება, რომელიც მათთვის კონდუქტორებს უნდა ეძლიათ, რადგან კონდუქტორის გასაკეთებელ საქმეს კუჩრები აკეთებენ. კონდუქტორები დასთანხმდნენ ამას და დღემდის აძლევდნენ ყოველ დღე 60 კაპ. ეხლა კონდუქტორებს, რომელნიც დღეში 5—8 მ. იღებენ და არაფერს არ აკეთებენ, კუჩრების გროშები მეტად მოეჩვენათ და მოინდომეს მისი განახევრება. გამართეს კრება და დაადგინეს, რომ კუჩრებს 60 კ. მაგიერად დღეში 40 კ. აძლიონ. ამის შესახებ კუჩრებმაც მოხდინეს კრება და გამოიტანეს შემდეგი გადაწყვეტილება: „თუ კონდუქტორები არ მოგვცემენ სრულად 60 კ. დღეში, ამ შემთხვევაში ჩვენ მუშტრებისათვის ფურგონიდან ლიმონათს არ ჩამოვიღებთ, რადგან „ეს კონდუქტორების საქმეაო".

მოგეხსენებათ, კუჩრების მუშაობის პირობები ერთობ მძიმე და აუტანელია: იმათ ყოველ დღე უნდა დაუდონ-გადმოსცალონ ორმოც-ორმოცი ფუთი; დილიდან საღამომდის ქუჩაში ფურგუნზე დაუსვენებლად არიან სიცივესა, ქარსა, წვიმასა და გზებში. კონდუქტორებს-კი კუჩრების მდგომარეობა არაფრად არ მიაჩნიათ, რადგან ისინი არაფერს არ აკეთებენ და მხოლოდ „ხაზეინობენ". ამ კონდუქტორებში ყველაზე უფრო შიო, ბესო და ვასო ცდილობენ დაიცვან თავიანთი გადაწყვეტილება და არ მისცენ კუჩრებს ხვედრ ფული. ასეთია კონდუქტორების მოქმედება, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ „კამეჩის მოჭიდავე ხარს რქა არ შერჩებაო. **გაზელი ლექსო.**

## სტატისტიკური ცნობები

**მიწათ-მფლობელობის შესახებ.**

ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობამ ამ რამდენისამე წლის წინად გადასცა თანხა და მოიწვია სტატისტიკის მცოდნე კაცი ბ-ნი გოგიჩაიშვილი, რომელსაც დაავალა მიწად-მფლობელობის შესწავლა ტფილისის გუბერნიაში. პირველად გადადებულმა თანხამ რომ არ იკმარა, 1905 წ. კიდევ დაუმატეს 6000 მ. ბ-ნ გოგიჩაიშვილს დაუმთავრებია თვისი შრომა, რომელიც უკვე იბეჭდება და ამ ორ თვეში ცალკე კრებულად გამოვა. კვირას, 11 თებერვალს, სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში შეკრებილ თავად-აზნაურობას განუზიარა ბ-ნმა გოგიჩაიშვილმა თავის ნაშრომის უფრო საყურადღებო ცნობანი.

ტფილისის გუბერნიას უჭირავს 35,904 ოთხ-კუთხი ვერსი, ზაქათალის ოლქს 3,502 ოთხ-კუთხი ვერსი, სულ 39,406, ანუ 4,105,000 დესეტინა (8,210,000 დღიური).

ვისი საკუთრებაა ეს ამოდენა მამული? ხაზინას ეკუთვნის მილიონზე მეტი დესეტინა და ისე ხმარობს, როგორც ეპარიანება. ამას გარდა ხაზინასვე ეკუთვნის როგორც საკუთრება 1,240,000 დესეტინა. ეს მამული უჭირავს სახაზინო გლეხკაცობას სახმარად.

თავად-აზნაურობას ეკუთვნის 987,000 დესეტინა. მისსავე საკუთრებას შეადგენს 174,000 დესეტინა, რომელიც ნამდვილად აქვს დროებით ვალდებულ გლეხობას, ხიზნებს და სხვებს. სულ, მაშასადამე, თავად-აზნაურობის საკუთრებას შეადგენს 1,161,000 დესეტინა. არა აზნაურებს ეკუთვნით: სამღვდელოებას, მოქალაქეთ და გლეხებს—336,000 დესეტინა. პროცეტებით რომ ვიანგარიშოთ, რომ ხაზინას ეკუთვნის 60%, თავად-აზნაურობას 31% და არა აზნაურთ—9%.

ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში თავად-აზნაურობის ხელშია სულ 1,032,775 დესეტინა. აქედან სახლკარის ადგილი 2161 დეს. (0,21%), ვენახბაღისა—5670 დ. (0,56%), სახნავი—175,151 დ. (17%), საძოვარი და სანიხირე—386,000 დეს. (37%), სათიბი—32,674 დ. (3%) და ტყე—431,000 დ. (42%).

1897 წლის აღწერილობით ითვლება ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში 29,347 სული აზნაური ორთავ სქესისა. ქართველ თავად-აზნაურობა 82%, სხვა ტომისა—18%. ბევრი თავად-აზნაური სოფლად არა სცხოვრობს, ზოგი ქალაქშია სამუდამოდ დაბინავებული და ზოგი კიდევ სამსახურშია. სოფლად მცხოვრები აზნაური ყოფილა 12,682 სული.

საერთოდ თითო აზნაურზე მოდის ყოველგვარი მიწა 36 დეს. მარტო ქართველი აზნაური რომ ვიანგარიშოთ, თითოზე მოვა 63 დეს.

სულ ტფილისის გუბერნიასა და ზაქ. ოლქში 6346 მამული ითვლება. ნახევარზე მეტი მამული წვრილი მამულია. მაგ. წვრილი მამული, საცა ერთიდან ოცდახუთ დესეტინამდეა, ყოფილა 3390, ანუ 53%, 25—100-დე—1462 მამული, ანუ 23%; 100—500-დე—1067 მამული, ანუ 17% და 500-სზე მეტიანი—407, ანუ 6%. ერთიდან ხუთ დესეტინამდე 1776 მამული ყოფილა.

ყველაზე ბლომად წვრილი მამული გორის მაზრაში ყოფილა, სახელდობრ 66%, ყველაზე დიდი მამულები ბორჩალოს მაზრაშია.

თავად-აზნაურობა ძალიანაა დავალიანებული. 1903 წ. პირველ იანვრამდე დაუგირავებიათ 559,627 დეს. ეს მამული შეუფასებია ბანკსვე 14,483,100 მანეთად. ვალად აწევს ამ დაგირავებულ მამულს 7,713,085 მ. წლიურად ბანკებს უნდა აძლიონ სარგებელში და თავნის მოსაწყვეტად 377,938 მან. **ა. ფ.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისის თეატრი**

რაღაც გაუგებრობით ჩვენს საზოგადოებაში ის აზრია გამეფებული, ვითომ ჩვენ მსახიობთ დამოუკიდებლად, ამხანაგურად ქართულ წარმოდგენების გაძღოლა, მართვა-გამგეობა არ შეუძლიათ. მათ შორის, ამბობდნენ და ეხლაც იმეორებენ აპეკის მომხრენი, დაიბადება უთანხმოება, შური, გაზვიადებული თავმოყვარეობა, და დიდი საქმე ქართულ ხელოვნებისა დაიღუპებაო. ასეთ აზრს მრავალი მომხრე ჰყავდა და ამიტომ ჩვენმა დრამატიულმა საზოგადოებამ თავისი შედარებით ხანგრძლივი არსებობა, ძალღონე და ქონება სეზონების გაძღოლას შეალია. ტფილისში წარმოდგენების მართვით გართულ საზოგადოებას სხვა თავისი მოვალეობა თითქო დაავიწყდა და მრავალ მხრივი წესდება საზოგადოებისა უყურადღებოდ იქნა დატოვებული. არც შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დრამატიული ლიტერატურა იმავე მდგომარეობაშია დღეს, რა მდგომარეობაშიაც 10—15 წლის წინად იყო. პროვინცია სულ უყურადღებოდ იყო დატოვებული, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ დრ. საზოგადოებამ რამდენჯერმე სცადა ქუთაისსა და სხვა ქალაქებში სეზონის მოწყობა. აქაც ისეთი უცოდინარობა გამოიჩინა საქმისა, რომ მეორედ არა მგონია კიდევ გაბედოს ვინმემ ამ გვარი ექსპერიმენტი. საკვირველი უფრო ის იყო, რომ ჩვენი დამსახურებული არტისტები სხვებზე მეტი მომხრენი იყვნენ მხრუნველობისა და აპეკისა.

სულ სხვანაირად შეხედეს საქმეს ქუთაისის მსახიობებმა. ლადო მესხიშვილი რომ წავიდა ქუთაისიდან, აღარავის ეგონა რომ ქუთაისში მუდმივი წარმოდგენები განახლდებოდა, ვინაიდგან მეთაური არსადა სჩანდა, ხოლო ახალგაზდა არტისტებისა დიდი იმედი არავისა ჰქონდა. დადგა სეზონიც. აქა-იქა გაიგონებდით, რომ ქუთაისის მსახიობები ამხანაგობას ადგენენ წარმოდგენების გასამართავად ქუთაისშიო. ლაპარაკი საქმედ გადაიქცა და პირველი წარმოდგენაც გაიმართა. ურწმუნოთა რიცხვი მრავალია და ამათის სიტყვით, სეზონი თვეს ან ცოტა მეტს თუ იზოგინებდა, თორემ მეტს კი არა. ამ ხმას ისიც უწყობდა ხელს, რომ მოსწავლე ახალგაზდობას დიდი არეულობა შეჰქონდა თეატრში და ბევრი იქ სიარულს ერიდებოდა. ამავე დროს კაცი ემჩნეოდა, რომ თეატრი ქუთაისის საზოგადოებას მოთხოვნილებად გადაჰქცევია და, მიუხედავად უწესოებისა და იმისა, რომ დასში არც ერთ თვალ-საჩინო და დამსახურებული მსახიობა არ იყო, თეატრში ყოველთვის ხალხი იყო. ამ გარემოებამ და იმანაც, რომ ამხანაგობად შეკრული არტისტები მატერიალურად იყვნენ დაინტერესებულნი, სჩანს გაარკვევა მათი მხნეობა და რაც დრო [illegible] უფრო ეწყობოდა როგორც [illegible] დაცვის ისე წარმოდგენების გაუმჯობესების საქმე. ამ [illegible] იმედიც არის, რომ სეზონი [illegible] დამთავრდება, ამ [illegible] მა გააქარწყლა ის აზრი, ვითომ არტისტებს არ შეუძლიანთ ამხანაგურად საქმის გაძღოლა და მათთვის „აპეკაა" საჭირო.

მოგვყავს რამდენიმე ცნობა ქუთაისის სეზონის შესახებ.

მიმდინარე სეზონში გაიმართა 12 წარმოდგენა. დადგმულ პიესათა შორის ხუთი ახალია, და დანარჩენი ძველია. ორთა შუა რიცხვით თითო წარმოდგენას ჰქონია 270 მანეთი შემოსავალი. შემოსავალს არტისტები იყოფენ ამ რიგად: ერთი რიგი არტისტებისა იღებს 10 მ. რკას, მეორე—7 და მესამე—4. არტისტები უკმაყოფილონი არიან მატერიალურის შედეგით და ეს გარემოება უფრო ამხნევებთ. პირველ ხანებში, როცა საქმე უქვო იყო, დასი ვერა ჰბედავდა გასტროლიორების მოწვევას, მაგრამ ეხლა, როცა ფეხი მოიმაგრა, გადასწყვიტა გასტროლებით გააცხოველოს საქმე. 4 თებერვლის წარმოდგენა ჩვენის ნიჭიერ არტისტის ვასო აბაშიძის მონაწილეობით მოხდა. მრავლად შეკრებილი საზოგადოება ალტაცებით მიეგება დამსახურებულ არტისტს.

დასასრულ, არ შემიძლიან არ აღვნიშნო ის, რომ ქართულ წარმოდგენების განმტკიცებას ქუთაისში დიდ დახმარებას უწევს ბ-ნი ალ. გარსევანიშვილი, რომელიც ამ საქმეს უანგარიშოდ ემსახურება. **თეატრალი.**

## რუსეთი

✦ **საზარელი ძალ-მომრეობა ოდესაში.** რუსეთის გაზეთებს საზარელი ამბები მოსდის ქ. ოდესიდან შავ-რაზმელთა ძალ-მომრეობის შესახებ. ოთხი დღის განმავლობაში შავ-რაზმელთა ბრბოები მძვინვარებდნენ ოდესსის ქუჩებში. თავს ესხმოდნენ იარაღით ებრაელებს, მოსწავლეებს; ბავშვებსაც არ ზოგავდნენ გაფთრებული მოძალადეები. განმეორდა შარშანდელი ზარ-დამცემი ამბები დაჭრილ-დასახიჩრებულთა რიცხვი დიდია. ერთმა ებრაელმა ახალგაზდა კაცმა თავდამსხმელ ბრბოს რევოლვერი ესროლა და გაიქცა. გაქცეულს მალე დაეწივნენ, ხელ-ფეხი დაუმტვრიეს, აწვალეს და ცოცხალ-მკვდარი მოიტანეს საბოქაულოში. ბირჟის მოღვაწეები ამ დაწესებულების დახურვას და მთელ ქალაქში აღებ-მიცემობის შეწყვეტას აპირებენ. სასწავლებლებში კრებები იმართება: მსჯელობენ

იგი საერთო დაკვირვების საგანს ეხება და შედეგია ამ დაკვირვებისა, როდესაც საერთო მოქმედება გამოწვეულია ძლიერ მჭიდრო საერთო ინტერესთა მიერაო. ამგვარად, ამბობს მახი, ენის განვითარება შეკავშირებულია საზოგადოებაში ეკონომიურ მოქმედებასთან. რამდენადაც უმჯობესდება ეკონომიური დარგები, იმდენად ენის განვითარება წინ მიდის" [6])

აქ სოციალ-დემოკრატს ალბად „ეკონომიურ მატერიალიზმის" სიმართლე ეგონება, მაგრამ ძლიერ მოსტყუვდება. „ეკონომიური მოქმედება" (хозяйственная дѣятельность) განვითარებულ საზოგადოებაში ნიშნავს A-ს მოქმედება განსაზღვრულ გეოგრაფიულ წრეში, B-ზედ განსაზღვრული წესებით, საწარმოო იარაღებით, აგრეთვე, რომელთა მოგონებასაც ნერვიული ენერგია ჰჭირდებოდა; ამ უკანასკნელთა შემწეობით შეძენილმა ენერგიამ ადამიანს კიდეც მეტი მოქმედება გამოადებინა B-ედ მოქმედების დროს, და ამპროცესში განვითარდა მრავალი ცნებადი მათი გამომხატველი ენა. გარდა ამისა, არც მახის აზრია სრული ჭეშმარიტება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მჭიდრო საერთო ინტერესები და საერთო დაკვირვება შესაძლებელია იმ ცხოველთა შორისაც, რომელთაც არა აქვთ არავითარი ეკონომიური მოქმედება, საწარმოო იარაღთა საშუალებით, როგორც, მაგალითად, თუთიყუშებისა; ესენი კი ყანაზედ დაცემის დროს ისეთის მჭიდრო საერთო ინტერესებით არიან შეკრულნი, ისეთის რთული ხასიათისაა მათი საერთო დაკვირვება, მაგალითად, სიგნალების გადაცემა ყარაულებს შორის, რომლებიც დაყენებულნი არიან მონადირის შიშის გამო, რომ მათი „ენაც" პირდაპირ გამოჰხატავს მრავალ გვარ მოძრაობას იმ ტყეში დამალულ თუთიყუშთა ბრბოისა, რომელიც ამა თუ იმ ნიშნით უნდა დაეცეს ყანას და გაანადგუროს. [7]) მეორე კიდევ ის არის მხედველობაში მისაღები, რომ განსაკუთრებით კულტურის პირველ საფეხურებზედ წარმოება სრულიად განისაზღვრება გარემოცულ წრით, რომელიც აგრეთვე უშუამდგომლოდ ახდენს ადამიანზედ შთაბეჭდილებას და ადგენინებს მას სხვა-და-სხვა ცნებას და მათ გამომხატველ სიტყვებს, ასე რომ გეოგრაფიულ წრეს პირდაპირი გავლენაცა აქვს ენის შედგენისა და განვითარებაზედ. თუ ამ პირველ შემთხვევაში ენა ვითარდება გეოგრაფიულის წრის ზედგავლენით, მეორე შემთხვევაში, როდესაც ადამიანი მაზედ საწარმოო იარაღთა საშუალებით მოქმედობს, ხდება პროცესსი წმინდა ეკონომიურ გავლენისა ენის შემუშავებასა და განვითარებაზედ. უკვე სრულიად განვითარებულ ენას კი დიდი გავლენა აქვს საერთოდ ისტორიულ მსვლელობაზედ, რადგანაც მისი სხვა და სხვაობა ჰქმნის რასათა და ხალხთა სხვადა-სხვაობის ერთ მხარეთაგანს. იგი ხდება ხალხის მიერ დაგროვილ ცნებათა გამომხატველად, იარაღად, რომელიც მემკვიდრეობით ეცემა შთამომავლობას, როგორც წმინდათა-წმინდა. ხალხში ჩნდება სიყვარული სამშობლო ენისა, და ხშირად ეს სიყვარული ერთ უძლიერეს იმპულსთაგანია იმ საშინელ ბრძოლათა, რომელიც ხდება ხოლმე ხალხთა და რასათა შორის. როდესაც იგი ლიტერატურულ ფორმას იღებს და მასში იხატება ადამიანის მიერ შექნილი მრავალფეროვანი ცნებები,—სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და სხვანი,—მაშინ იგი უკვე წარმოადგენს ერთ მნიშვნელოვან ძალას, ფართო წყაროს, რომელსაც ადამიანი ეწაფება ხოლმე და ისვამს ბევრ ცნებას და პრინციპს, რომელნიც მის ბევრ მოქმედებას განსაზღვრავენ ხოლმე. მიაღწევს რა ადამიანის განვითარება იმ ხარისხამდე, რომ მისი აზროვნება, მისი სული დამოუკიდებლად ვითარდება, მასთან ერთად ვითარდება ხოლმე ენაც, და იქცევა რა ამ აზროვნების გამოხატულებად, მთელი საზოგადოების გასაგებად, მისგან განუყოფელ არსებად იქცევა. ადამიანის აზროვნებაც და ენაც მაშინ აჭარბებენ თავის განვითარებაში საწარმოო ძალთა განვითარებას, რადგანაც მათი საოპერაციო ცნებანი რაოდენობით აჭარბებენ საწარმოო ძალების ცნებათა საერთო ჯამს.

ამგვარადა ჩნდება ეს დიდი იარაღი სოციალურ-ურთიერთობათა განმამტკიცებელი,—ენა; იგი იბადება ისეთ ცხოველთა შორისაც კი, რომელთაც არავითარი ნასახი არა აქვთ საწარმოო ძალთა. ენა თავდაპირველად ნაყოფია ცხოველთა სოციალობის მოთხოვნილებისა. იგი ცხოველთა ინტერესებისაგან არის წარმოშობილი,—თავის დაცვის ინსტიქტისაგან რამდენიც სახე და გვარია საზოგაოებრივ ცხოველთა, იმდენიც ენაც. არ შეგვიძლიან აგრეთვე ვთქვათ, რომ ცხოველთა ენა ადამიანის სიტყვიერს ენისაგან არსებითად განირჩეოდეს, როგორც ამბობს მახი. ადამიანის ენა მაშასადამე მემკვიდრეობით გარდმოეცა, როგორც გამომხატველი იარაღი დაგროვილ ცდათა, მეხსიერების მიერ შენახულთა. ადამიანმა მხოლოდ შემდეგ განავითარა იგი თავის სოციალურ და ეკონომიურ განვითარების თანახმად, და რაც ამ უკანასკნელ პროცესსში ცნებანი შეიმუშავა, მისმა ენამაც ის გამოჰხატა.

გარდა ამისა, რადგანაც ადამიანი იმყოფება თავიდანვე სხვა და სხვა გეოგრაფიულ წრეში, რომელიც განისაზღვრავს როგორც მის ორგანიზაციას, ისე იმის ცხოვრების წესებს წრესთან შეგუების კანონის ძალით, ენათა სხვა და სხვაობაც სხვა და სხვა ეთნიურ გარუპპის მრავალფეროვანებას ეთანხმება: „ადამიანთა გრუპები, ურდოები და ერები, რომლებიც განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან ჩვეულებით, ზნით, კანის ფერით, თავითა და სხვა ორგანოებით, რომელთაც გავლენა აქვთ ხმის ამოღების ხასიათზე, ისეთნაირად დასცილდნენ ერთმანეთს გარემოცულ წრის მრავალ-ფეროვანების გამო, რომ პირი ვეღ შეეგუა ერთსა და იმავე სიტყვათა წარმოთქმას და ყური და მათ გაგებას. ამგვარად წარმოიშვა სხვა და სხვა ენები, როგორც სხვა და სხვა ეროვნული ტიპები",-ო ამბობს ელიზე რეკლიუ *). ეს ენები განვითარდნენ (რომელნიც სრულიად არ გაქრნენ, რასაკვირველია), მაშასადამე, იმ სხვა და სხვა ხალხთა ცალკე განვითარების თანახმად, და შექმნეს რა კიდევ მეტი განსხვავება ერთა შორი, შეჰქნეს ერთი იმ იმპულსთაგანი, რომლისათვისაც დღესაც ვარდება ბრძოლის ცეცხლში ადამიანი, როდესაც იგი ენას იცავს თავის „ეროვნების" დაცვის დროს. დაუმატეთ ამას ზემოხსენებული, რომ ენა სალაროდ ხდება მთელი ხალხის კულტურისა, იმის აზროვნების თავისებურობის გამომხატველ იარაღად, მის საკუთარ ცნებათა გამოხატულებად, და მაშინ ვეღარ იტყვით, რომ იგი პირდაპირი ფუნქციაა მხოლოდ „საწარმოო ძალთა განვითარებისა", ან გამომხატველი მხოლოდ „ეკონომიურ ურთი-ერთობათა" და სხვა. იგი დამოუკიდებელი „ძალაა", მიზეზი ბევრ ცვლილებათა ადამიანის ცხოვრებაში, იგი აგრეთვე ისეთი პირობაა, რომელიც დიდ როლს თამაშობს თვით უმაღლეს აბსტრაქტიულ აზროვნების პროცესსში, ე. ი. ჩვენი ნერვიული ენერგიის მუშაობის უზენაესს გამოხატულების პროცესსში. ბევრი მეცნიერი იმ გადაჭარბებულ აზრისაც იყო ენის შესახებ, რომ უიმისოდ არავითარი აბსტრაქტიული აზროვნება არ შეიძლებაო...

საერთოდ, ჩვენი დასკვნა ისეთია, რომ ენა უპირველეს ყოვლისა ჩვენი ნერვიული და მუსკულური ენერგიის მუშაობის ნაყოფია; შემდეგ იგი თუმცა ჩვენი ორ ანოების პროექციის შემწეობით (საწარმოო იარაღთა) გაფართოვებულ კოლლექტიურ ცდის დროს არის განვითარებული, მაგრამ ეს პროექციაც, განვიმეორებთ, ჩვენი ნერვიული ენერგიის ნაყოფია, და მაშასადამე ენას აქვს პირდაპირი განწყობილება ყოველთვის ჩვენ ნერვიულ ენერგიის მუშაობასთან. ეს ჩვენთვის საჭიროა, მით უმეტეს, რომ ენა შემდეგ განვითარებაში თვით გახდა ჩვენი ენერგიის ამამუშავებელი, ბევრ შემთხვევაში იმპულსი ჩვენის ამა თუ იმ გადაწყვეტილ მოქმედებისა.

განვიხილოთ შემდეგ სხვა ძალები, რომელნიც აგრეთვე შეგვიძლია დავსახოთ საწარმოო ძალთაგან დამოუკიდებლად, ე. ი. მათ არა-პირდაპირ ფუნქციად.

Bâton

(შემდეგი იქნება)

[6]) E. Махъ, Теорія Познанія, глава VI: языкъ. p. p. 60—69.

[7]) P. Kropatkine—Mutual Aid.

*) E. Reclus, L'Homme et la Terre, t. I. q. 282.

თავის დაცვისა და სწავლის შეწყვეტის შესახებ. ამრჩეველებმა დაადგინეს, დაავალონ სათათბიროში ქ. ოდესის დეპუტატს, შეკითხვით მიმართოს მთავრობას შავ-რაზმელთა დაუსჯელ ძალ-მომრეობის შესახებ.

უნივერსიტეტის პროფესორებმა მიმართეს დეპეშით საერო განათლების სამინისტროს, სადაც აღნიშნეს ის გარემოება, რომ იმათ პროტესტს, მინისტრთა მეთაურის სტოლიპინის სახელობაზე გაგზავნილს, არავითარი შედეგი არ მოჰყვა და ძალ მომრეობა ოდესაში დღითი-დღე ძლიერდება უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა, დროებით დახუროს უნივერსიტეტი ოდესაში, ევროპის სახელმწიფოთა კონსულები დარწმუნდნენ, რომ ადმინისტრაცია პირობას არ ასრულებს, არავითარ ზომებს არ ღებულობს უცხოელ ქვეშევრდომთა დასაცველად, და ამიტომ დეპეშით მიმართეს თავ-თავიანთ მთავრობებს და დახმარებას სთხოვენ.

**✦ მთავრობის ახალი ცდა.** მინისტრთა მეთაურის სტოლიპინის თაოსნობით გერმანიაში გაიგზავნა ორი მოხელე, რომელთაც დაევალათ ადგილობრივ შეისწავლონ, როგორ აწარმოებს მთავრობა თავისი ოფიციალური პრესსის საქმეს. ერთ გაგზავნილ მოხელეთაგანს დაევალა, ევროპის სხვა სახელმწიფოებიც ლიაროს და გაიცნოს ოფიციალური პრესსის მდგომარეობა.

**✦ პროექტი ახალ სესხის შესახებ.** როგორც წინად ვწერდით, მთავრობას განუზრახავს საზღვარ-გარედ ფარულად ახალი სესხის აღება. რუსეთის გაზეთები შემდეგს გვაუწყებენ მთავრობის ამ პროექტის შესახებ: საზღვარ-გარეთელ მდიდარ ბანკირთა საზოგადოება ღებულობს იჯარით მთავრობისაგან, 50 წლის ვადით, შვიდ სხვა-და სხვა რკინის გზას და წინ და წინ აძლევს ფულად ათას მილიონ მანეთს. საზოგადოება კი კისრულობს იჯარით აღებულ რკინის გზების გაუმჯობესებას ახალი გზების გაყვანას და სხ.

**✦ უწესოებანი ვოლგის ახლო გუბერნიებში.** პეტერბურგის პოლიციის დეპარტამენტს ცნობები მისდის, რომ მდინ. ვოლგის ახლო-მახლო მაზრებში ბევრგან შეტაკება მოხდა დამშეულ ხალხისა და პოლიციის დარაჯებს შორის, რომელნიც გლეხებს მემამულეების პურის ტაცებას აბრალებდნენ.

**✦ მღელვარება პეტერბურგის სატუსაღოში.** ადმინისტრაციამ დაავალა სასხლის სამართალში მიცემულ და პეტერბურგის დიდ საპატიმრო „კრესტ“-ში დამწყვდეულ ტუსაღებს ბორკილების კვეთება. ტუსაღებმა უარ ჰყვეს ეს მათი დამამცირებელი განკარგულება და გაფიცვა გამოაცხადეს, რომელსაც მიემხრო მთელი სატუსაღო, ათიოდე კაცის გარდა. გაფიცულნი ცივ „კორცერში“. დამწყდევით დასაჯეს, მაგრამ ისინი მტკიცედ იდგნენ თავის გადაწყვეტილებაზე და ბოლოს-და-ბოლოს ადმინისტრაციამ დაიბრუნა თავისი განკარგულება. იმავე სატუსაღოს პატიმრებმა ასოთ-ამწყობებმა უარ ჰყვეს აგრეთვე მათთვის დავალებული ერთი შავ-რაზმელი გაზეთის ბეჭდვა და ადმინისტრაციამ ვერაფერი გააწყო მათთან.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 თებერვალი

**ჰააგა.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მთავრობა მზადაა 10 თებერვალს მიიღოს მეორე სამშვიდობო კონფერენციის დელეგატები.

**ბრიანსკი.** სადგურზე ნსკზე დამშეულთათვის დამზადებული 31,500 ფუთი ქვავი ცეცხლმა იმსხვერპლა, 40,000 ფუთი კი ცეცხლის ჩაქრობის დროს თოვლმა, წყალმა და ბოთმა გააფუჭა.

**ოდესსა.** სამხრეთ რუსეთში ცნობილმა პურის ვაჭარმა იუროვსკიმ თავი მოიკლა. იუროვსკის ეკუთვნოდა ოდესაში რუსის თეატრი და რამდენიმე სხვა შენობა. თავისს მოკვლის მიზეზად საქმეების შეფერხებას ასახელებენ.

**სევასტოპოლი.** საუკეთესო სასტუმროში თავი ჩამოიხრჩო იალტიდან ჩამოსულმა ბარონმა გროტუსმა. თავის მოკვლის მიზეზი არ იციან.

**მინსკი.** ნოვოგრუდის მაზრის სოფ. ოკანოვიჩში საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ებრაელ ქალს აბრამოვიჩს თავი მოსჭრეს და მისი ქმარი სასიკვდილოდ დასჭრეს. მკვლელებმა მხოლოდ 4 მანეთით ისარგებლეს. ერთი მკვლელთაგანი, 19 წლის ჭაბუკი დაიჭირეს. იგი გამოტყდა.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნიკ“-ში გამოქვეყნებულია სენატის შემდეგი განმარტება: მსაჯულებს ნება არა აქვთ წევრად ჩაეწერნენ მიემხრონ იმ პარტიებს, საზოგადოებას და კავშირებს რომელთაც რამე პოლიტიკური მიზანი აქვთ. სასამართლოს შტატისა და დაქირავებულ მოხელეებს, სასამართლოს ბოქაულებს, საქმის ქაღალდების დამტარებლებს, კანდიდატებს, ნოტარიუსებს და ნაფიც თარჯმანებს ნება არა აქვთ მიემხრონ არა თუ ისეთ პარტიებს და კავშირებს, რომელთ წევრობასაც კანონი სასტიკად სჯის, არამედ ისეთებსაც, რომელთა პროგრამაში აღნიშნულია მთავრობისადმი ბრძოლის ლტოლვილება, ან საბრძოლველად ხალხის მოწოდება.

**ვარშავა** საფოსტო განყოფილებაზე თავდასხმის დროს მოკვდა 6 კაცი: განყოფილების უფროსი, სამი ჯარის-კაცი, ერთი ფოსტალიონი და ერთი გარეშე; დაიჭირა 9 კაცი: 4 ფოსტალიონი, ოთხი ჯარის-კაცი და ერთი მოსამსახურე ქალი. განყოფილებიდან 6427 მანეთი გაიტაცეს.

**უმანი.** საველე სასამართლომ ორ გლეხს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. იმათ ძარცვა-გლეჯას აბრალებდნენ.

**თემირ-ხან შურა.** სატუსაღოს საავადმყოფოში კატორგა გადაწყვეტილმა რუსმა სალდათმა დანით მოჰკლა ებრაელი რაზიევი, რომელიც სასჯელს იხდიდა. მიზეზი ერთი აბაზი ვალი ყოფილა, რომელიც მოკლულს მკვლელისთვის არ გადუხდია.

**ვილნო.** გინზბურგის მაღაზიიდან ვაქცეოდნენ ბოროტ განმზრახველნი, რომელთაც თან მიჰქონდათ 53 მანეთი. შეეხეთნენ გოროდოვოის პასკევიჩს. გოროდოვოიმ განიზრახა მათი დაჭერა. იგი იქვე მოჰკლეს.

**ლომჟა.** გუბერნატორის სახლთან მდგომ გოროდოვოის თავს დაესხნენ. გოროდოვოიმ ერთი კაცი მოჰკლა.

**პრეტორია.** პირველი სამინისტრო, რომელიც კონსტიტუციის შემოღების შემდეგ დაარსდა, გეტფოლსკებისაგან (?) შესდგება. პრემიერად გენ. ლუი ბოტაა.

**ოდესსა.** შუა დღისას ბეოძნების ბაზართან ეტლით მიმავალ პოლიცმეისტერ ფონ-გესბერგს ყუმბარა ესროლეს. პოლიცმეისტერი მსუბუქად დაიჭრა, იმის გვერდით მჯდომი საიდუმლო განყოფილების აგენტი კი მძიმედ. ყუმბარა უკანიდან ესროლეს. ეტლის უკანა ნაწილი დაიმსხვრა. ყუმბარა საშინლად აფეთქდა. ზიანი დიდი არ მოუტანია, რადგან ეტლი მიჰქროდა. არავინ არ დაუჭერიათ.

**ეკატერინოსლავი.** იანვარში დაწყებული გაფიცვა დრუჟკოვსკის ქარხანაში თავდება. ანგარიშის გასწორების შემდეგ 2700 კაცი ხელ ახლა ჩაეწერა. ადმინისტრაცია თანახმაა, 120 კაცის გარდა, ყველანი უკანვე მიიღოს.

**ტრიესტი.** ჩრდილო გერმანიის ლლოიდის გემი „იმპერატორის“-ი 6 თებერვალს ბომბეიდან გავიდა და 9 თებერვალს განდის მახლობლად გაირიყა. გემი ჩაიძირა, რადგან დიდი ქარიშხალი იყო. არიან დაღუპულებიც. ნამდვილი ცნობა ჯერ არ მოსულა.

**ქრისტიანია.** რომსდალის ოლქში თოვლის ზვავი ჩამოწვა და 4 გლეხის სახლ-კარი დაანგრია. ერთ ადგილას სამი კაცი დაიღუპა, მეორეგან—10 კაცი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს, ოლქის უფროსებს, გრადონაჩალნიკებს და ვარშავის ობერ-პოლიცმეისტერს ცირკულიარი გაუგზავნა. ამ ცირკულიარით (17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით) უქმდება 1903 წლის 1 ოქტომბრამდი აღკრძალულ წიგნების სია. მინისტრმა შესაძლებლად სცნო, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში იქონიონ ისეთი წიგნები, რომლებიც საზოგადოდ იმპერიაში აღკრძალული არ არის. დღემდი ბიბლიოთეკა-სამკითხველოში აღკრძალული იყო 193 წიგნი და ბროშიურა და 10 ჟურნალ-გაზეთი.

სიმართლეს მოკლებულია გაზეთების ცნობა, ვითომ 7 და 9 თებერვალს ცარსკოე სელოში თათბირი ჰქონდათ არჩევნების შედეგის შესახებ; ვითომ სჯა-ბაასობდნენ სათათბიროს დათხოვნაზე შეკრებისათანავე ან რამდენისამე ხნის შემდეგ, კაბინეტის გადაყენებაზე, ახალ სათათბიროსთან სოლიდარულ მოქმედების პირობებზე და სხვ.

**ტრიესტი** გემის „იმპერატრისი“-ს კაპიტანმა 12 კაცით თავს უშველა. გემზე დარჩენილნი საშიშ მდგომარეობაში არიან. მისაშველებლად გაეშურა იტალიის სტაციონერი.

**ლოძი.** გირშბერგის და ვილჩისკის ძაფის სართავ ფაბრიკის კანტორაში სამი ახალგაზდა კაცი შევიდა. თავიანთი თავი ანარხისტ-კომუნისტებად დაასახელეს და ბუხჰალტერს ფული მოსთხოვეს. იპოვნეს მხოლოდ 9 მანეთი. მერე კანტორაში შემოსულ ინჟინერს გირშბერგს დაეცნენ მუშებისთვის დასარიგებელ (500 მანეთი) ფულის წაართვეს და მიიმალნენ.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ზოგიერთ გაზეთში დაბეჭდილი იყო, ვითომ სასამართლოს მოხელეთა და მცოდნე ექსპერტების განხილვით აღმოჩნდა, რომ ჯოჯოხეთის მანქანა რომელიც გრაფ ვიტტეს სახლში ნახეს, ვერ აფეთქდებოდა და მოწყობილი უნდა ყოფილიყო ისეთ პირის მიერ, რომელსაც მაგვარ მანქანების არაფერი გაეგებოდა. გაზეთების ცნობებში მართალი და ტყუილი ერთმანეთშია არეული. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მანქანა ნამდვილ ასაფეთქებელ წამლებით იყო სავსე და, რომ აფეთქებულიყო, სახლის ერთ ნაწილს მაინც დაანგრევდა, მაგრამ ვერ აფეთქდებოდა, იმიტომ რომ ალბად ვიღაც უმეცარის დადგმული იყო.

**ლვოვი.** გუშინ განთავისუფლებული სტუდენტი რუსინები სატუსაღოდან არ გამოვიდნენ, რადგან ხუთი სათი ამხანაგი არ გაანთავისუფლეს. დღეს სასამართლომ დაადგინა, განათავისუფლოს დანარჩენი ხუთიც, თუ 300,000 კრონა გირაოს წარმოადგენენ. ფულის წარდგენის შემდეგ ყველანი განათავისუფლეს.

**პეტერბურგი.** ანანიევის მაზრის სოფ. ახმეჩეტვაში მძარცველთა ბრბო გლეხებს დაეცა. ერთი გლეხი მოჰკლეს, სამი დასჭრეს; დასჭრეს აგრეთვე პურის ბეღლის დარაჯი, გაუპატიურეს მისი ცოლი და მიიმალნენ. ერთი მძარცველი დაიჭირეს.

**ლოძი.** პარტიულ ნიადაგზე ერთი მუშა მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

**პერმი** კოტლასსკის გზის მე-141 ვერსზე საქონლის მატარებელი დაიმსხვრა. არიან მოკლულნიც.

**პეტერბურგი.** მთავრობამ ნება-დართო კონ.-დემოკრატების პარტიას, გამართოს პეტერბურგში საიმპერიო კრება პარტიისა. ცენტრალურმა კომიტეტმა მოუხერხებლად სცნო ამ ჟამად კრების გამართვა ფინლიანდიაში, ამიტომ კრების მოწვევა სხვა დროისთვის გადაიდო.

**ნოვოჩერკასკი.** სატუსაღოს უფროსს სამი შეიარაღებული კაცი დაეცა. ხუთჯერ ესროლეს. ვერ დასჭრეს და გაიქცნენ. ეჭვით ერთი სემინარიელი დააპატიმრეს.

**ეკატერინოსლავი.** დრუჟკავკაში კანტორიდან შინ მიმავალ დონეცკის ქარხნების დირექტორს როიმენს ხუთჯერ ესროლეს და მიიმალნენ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

## ისტორია

ბავშვის სულის მდგომარეობისა.

თარგმანი ნატალია გაგაურისა, იყიდება ტფილისში „ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ კიოსკში და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მაღაზიაში. ფასი ათი შაური. (2—1)

ქუთაისში

თესლეულობის

## კანტორა

**კიწმარიშვილისა და ამხ.-სა,** ბალახვანის ქუჩა, გუგუშვილის სახლში, სადაც შეიძლება შეძენა: იონჯის, კოინდრისა, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის, ლახანის და ყოველ-გვარი ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობისა. პრეისკურანტები მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ. (12—9)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცნობებს მცხოვრებთ, რომ **იმპერატორის ალექსანდრე II-ის** სახელობის საავადმყოფო [illegible] ახალ სადგომში გადაიტანეს [illegible] ქუჩაზე სახლი № 109 და 6 თებერვლიდან იქ გაიხსნა, გარდა ქალთა განყოფილებისა (35 ადგილი) კიდევ განყოფილება მამაკაცთათვის (20 ადგილი). გარდა ამისა საავადმყოფოში მიიღებენ მოსიარულე ავადმყოფთა, ვინც სიფილისით, ვენერიულის ან კანის სენით არის შეპყრობილი. მოსიარულე ავადმყოფთ უფასოდ იღებენ ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა და ზოგიერთ უქმე დღეებისა, დილის 10 საათიდგან სადამოს 1—მდე; ამავე დროს შეამოწმებენ ძიძებს და მოსამსახურეთ. საავადმყოფოს გამგედ დანიშნულია მედ. დ—რი ს. ს. ისტამანოვი. (5—ნ. ქლ.—2)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

## არითმეტიკული

**კრებული ნაწ. II-ე**

ე. ხრამელაშვილისა. ფასი ორი აბაზი—ნარდათ მყიდველებს 20% დაითმობა აქვე I ნ წილი კრებულისა, ყდით 30 კაპ.

მისამართი, ტფილისი წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

(10—522—7) **ზოზიკო მერკვილაძესთან.**

## ყვავილების მაღაზია

**ლ. მეცლერისა** (მაიერისეული)

მიხეილის პროსპექტი, № 55.

ამზადებს ლამაზად და კოხტად თაიგულებს, გვირგვინებს და ყოველ გვარ სხვა ნივთებს ყვავილებიდან. (10—ხლ—3)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. მტრეისერისა

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება—3 მანეთი თითო კბილის სადოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—67)



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

## მ. ე. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა,** № 11.

აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველება, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„სკრასთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“**. (50—751—17

მიაქციეთ ფაბრიკის მარკას „ამური სწერს“

სასარგებლო საჩუქარი მომავალ დღესასწაულებისათვის

მთავარი საწყობი, როგორც ნარდად, ისე ცალობით გასასყიდად

## გრამოფონებისა

და

## ფირფიტების

მთელ კავკასიისთვის.




მიღებულია დიდ-ძალი ფირფიტები სულ ახლად ჩაწერილ სიმღერებისა_სხვა და სხვა ენაზე.

ფასი ძლიერ იაფია.

დასურათებული პრეისკურანტები, კატალოგები და სასიმღეროების სიები მსურველთ ეგზავნებათ და ეძლევათ უფასოდ.

TRADE MARK "GRAMMOPHON"

ფაბრიკის მარკა.

ტფილისის განყოფილება

სააქციონერო საზოგადოების

## „გრამოფონი“-სა

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, ს. 9.

ადრესი ტელეგრამებისთვის: Тифлисъ „Граммокомпанія“.

(25 6 24)

აპარატებისა და ფირფიტების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციეთ ფაბრიკის მარკას „ამური სწერს“